გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა. ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892


## გაზეთი „ივერია“ აპრილის პირველიდამ წლის დამლევამდე ღირს 8 მან.

მთავრობის ნება-დართვით ამ წლის 20 აპრილს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საგანგებო კრება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა იმ ღონისძიებათა განსახილველად, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას სათავად-აზნაურო მამულების ხელუხლებად დასაცველად, და აგრეთვე სხვა საქმეთა განსასჯელად.

აცხადებს რა ამას, ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი უმორჩილესად სთხოვს თავად-აზნაურთ, რათა დანიშნულს დროს მობრძანდნენ ზემოხსენებულს კრებაზედ დასასწრებლად. (3—1)

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ უმორჩილესად სთხოვს ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ ამა 1882 წლის 14 მაისს, 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველია შემდეგი საგნები: ა) წლიური ანგარიში 1891 წლის პირველ აპრილიდგან 1892 წლის პირველ აპრილამდე; ბ) ხარჯთ-აღრიცხვა მომავალ $18^{92}/_{93}$ წლისა; გ) სახლის შეძენა საზოგადოებისათვის. (3—2)

**წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის გამგეობისაგან.**

თანახმად წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის პირობის მე-16 მუხლისა, წარსულ შაბათისათვის დანიშნული ამხანაგობის საზოგადო ყრილობა არ შესდგა და გადაიდო მომავალ შაბათისათვის, 18 აპრილს. ყრილობა იქნება სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, საღამოს 6 საათზედ. (3—0—1)

## ახალი ამბავი

*** გუშინ დაბრუნდა ტფილისშივე მთავარ-მმართებლის თანაშემწე ტატიშჩევი, რომელიც ხაშურში ბრძანდებოდა.

*** ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო შემოსავლიდგან 19 ათასი მანათი გადასდო ტფილისის გუბერნიაში კალიის გასაწყვეტად. ამ დღეებში ამ ფულიდგან 2,500 მანათი მიეცა ტფილისის მაზრის უფროსს კალიის გასაწყვეტად.

*** პარასკევს, 17 აპრილს, ტფილისის საზაფხულო თეატრში წარმოდგენილი იქნება ტფილისის 1-ლ გიმნაზიის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ გორესმეხოვის ოპერეტი „ავტომატი“. ამ წარმოდგენაში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს ოპერეტის ავტორიც, ბ-ნი გორესმეხოვი.

*** ხუთშაბათს, 16 აპრილს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, მორიგი კრება მოხდება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა. საგანი კრებისა: 1) მორიგი საქმენი, 2) მოხსენება კომისიისა ქალაქ ერევანში ღვინის კეთების სკოლის გამართვის შესახებ. კრებას არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის გარდაწყვეტილების თანხმად, დღეიდგან, ესე იგი 15 აპრილიდგან, უნდა დაიწყოს შესამზადებელი მუშაობა საფილოქსერო დასებისა ქართლსა და კახეთში. უმთავრესი საქმე ამ დასთა 1 მაისამდის იქნება, რომ შეუდგნენ ვენახების წამლობას მილდიუსა და ნაცრისაგან, ხოლო 1 მაისიდგან ეს დასნი ამ საქმის გარდა ფილოქსერის ძებნასაც მიჰყოფენ ხელს. ერთი დასი იმუშავებს კახეთს, ერთი ტფილისისა და ბორჩალოს მაზრაში, სამი დასი—გორისა, დუშეთისა და შორაპნის მაზრის აღმოსავლეთად. როგორ გაინაწილებს ერთმანეთს შორის ადგილებს ეს უკანასკნელი სამი დასი, ამისი ცნობა ჯერ არ არის. ერთი დასი დაიწყებს კიდევ მუშაობას რაჭა-ლეჩხუმს. ამ სახით, სულ ექვსი დასი გავა სამუშაოდ, ხოლო მეშვიდე, როგორც წანადაც ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, უკვე მუშაობს შორაპნისა და ქუთაისის მაზრებში 1 მარტიდამვე.

*** 20 აპრილს, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში საგანგებო კრება მოხდება ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა იმ ღონისძიებათა განსახილველად, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას სათავად - აზნაურო მამულების ხელუხლებლად დასაცველად, და აგრეთვე სხვა საქმეთა განსასჯელად.

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი პატარა ქართული წიგნი „საყმაწვილო ბიბლიოთეკა“ (საყმაწვილო ლექსები), შეკრებილი ბ-ნ კ. ოცხანელის მიერ და დაბეჭდილი ოზურგეთს ბ-ნ კ. თავართქილაძის სტამბაში. ეს უკვე მეათე ქართული წიგნი დაუბეჭდია ამ სტამბას იმ მცირე ხნის განმავლობაში, რაც ხანი ეს სტამბა არსებობს ოზურგეთში. ზემოხსენებულს პატარა წიგნში ერთად არის თავ-მოყრილი ოციოდე პატარა ლექსი და გალექსილი იგავ-არაკი ჩვენის სხვა-და-სხვა მწერლისა. ყველა ეს ლექსები ყმაწვილებისათვის ფრიად სახალისო და საინტერესოა. კარგი იქნებოდა, რომ ამისთანა საყმაწვილო საკითხავად დანიშნულს წიგნში უფრო ნაკლებად ყოფილიყო კორექტურის შეცდომანი. წიგნი პატარა ტანისაა, სულ 24 ფურცელია შიგ და ღირს ერთი შაური.

*** ჰაერში მფრინავი გოდრონი, რომელიც შარშან აპირებდა აფრენას და ვერც ერთხელ ვერ მოუხდა, კვირას, 19 აპრილს, კიდევ აპირობს ჰაერში აფრენას იუნკრების სკოლის მახლობელ მოედნიდგან. გოდრონს ეხლა აბრეშუმის ბუშტი გაუკეთებია თურმე. პოლიციამ გოდრონს ნება დართო ჰაერში აფრენისა, იმ პირობით-კი, რომ ბილეთების გაყიდვით შემოსული ფული პოლიციას ჰქონდეს ჩაბარებული, და თუ ეხლაც ხალხი მოსტყუვდა და გოდრონი ვერ აფრინდა, პოლიცია უკან დაუბრუნებს ხალხს ბილეთების ფულს.

*** 13 აპრილს, გათენებისას, ოლღას ქუჩაზედ, გაბაშვილის სახლებში დუქანი გაუტეხეს მიკიტანს პეტრე მაისურაძეს და წაიღეს დახლი, რომელშიაც ორ თუმნამდე ფული იყო და რვა თუმნიანი ვერცხლის ქამარი. ქურდები ეზოდგან შესულან, სარდაფში ჩაშვებულან და იქიდგან ასულან დუქანში. დუქნის პატრონმა მხოლოდ დილით შეიტყო თავისის გაქურდვის ამბავი.

*** სოფ. ნაოღალევი (სამეგრელო): ლამის არის ამ უმოწყალო ცეცხლმა გააცალიეროს ჩვენი სოფლები და ბოლო მოუღოს ჩვენს უძრავსა და მოძრავს ქონებას. აი, მაგალითად, რამდენი ზარალი მოგვიტანა ცეცხლმა: სასულიერო სასწავლებელი მარტვილისა, რომელიც ჩვენთვის დიდი ამბავი იყო, ცეცხლმა გაგვიფრინა დაბა ახალ-სენაკში. მარტვილის მონასტერს ჰქონდა მშვენიერი შენობანი, რომელთ ადგილს ნამწვავ ფიცრების და დამტვრეულ ქვების მეტი აღარა არის-რა. შეგვრჩა მხოლოდ ერთად-ერთი სახელმწიფო დაწესებულება, მომრიგებელ - მოსამართლე. ეხლა ცეცხლმა ამის შენობასაც ჩა-

## ფელეტონი

### ნიკოლოზ ბარათაშვილი

(პატარა ეტიუდი ერთის წერილიდამ ამოღებული)

გრ. ორბელიანის თანამედროვე იყო ნ. ბარათაშვილი, რომელმაც თავისი პოეტური მოღვაწეობა დაიწყო ოც-და-ათიან წლებში და, ჩვენდა სამწუხაროდ, გაათავა 1845 წ. ესეც უგალობდა სიყვარულს და ტრფიალებას, როგორც ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხადიდა ტრფიალობის საგნად, ვიდრე ხორცისას, და ამიტომაც ამბობს იგი:

თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს და მარტო მშვენიერთ სულთა კავშირი ჰშობს სიყვარულსა, ზეგარდმო მადლით დაუხსნელად დამტკიცებულსაო.

მხოლოდ მათ შორის არის გრძნობა ერთსანუკველი,
რომ მის უტკბილეს არც თუ არის სასუფეველი,
მას ცისა სხივით აცისკროვნებს მშვენიერება
და უკვდავებით აგვირგვინებს ჭეშმარიტება.

გარდა ამისა, რომ ნ. ბარათაშვილმა განაწმიდავა სიყვარული და სიყვარულში სულიერობას უფრო თაყვანს სცემდა, ვიდრე ხორციელობას, იგი მით იყო უფრო ძლიერ ლირიკაში ალ. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულის-თქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ჭირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კვნესა კაცობრიობის კვნესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა. ჰხედავს ცას და შეჰკვნესის უღონობის სიმწვავითა:

ჰე ცაო, ცაო, ხატება შენი აქამდისა მაქვს გულს დაჩნეული,
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდე ვერ მოახწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

განა მარტო მისი ფიქრნი? მთელის კაცობრიობისა, რომლისათვისაც ცა ჯერ კიდევ საიდუმლოთა საიდუმლოა.

მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთროება,
გულის თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფთ, რომ დაშთოს აქ ამაოება,
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ ომკვდავნი განგებას ციურს!

ნუ თუ აქ გამოთქმული სურვილი ძიებისა მთელის კაცობრიობის სურვილად არ უნდა ჩაითვალოს და უღონობა ამ სურვილის მიუწვდენელობისა მთელის კაცობრიობის უღონობად? ამისთანა სურვილი, ამისთანა საქმეში უღონობა ერთის ცალკე ადამიანის სურვილი და უღონობა არ არის.

ნ. ბარათაშვილს ხშირად მოსდიოდა ფიქრად საყოველთაო საკითხი, რომლის პასუხსაც იგი ეძებდა მარტო თავის გულში-კი არა, მთელის კაცობრიობის გულში.

მაინც რა არის ჩვენი ყოფა, წუთის-სოფელი, ჰკითხულობს იგი:

თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

ყურს უგდებს ჩონგურს და იქაცკი ერთობ ადამიანის გულის ჩივილი ესმის და არა თავისი:

მე შენგან მესმის მოკლულის გულის ოდენ ჩივილი.

ჰხედავს მტკვარს და იმასაც საყოველთაო საკითხის პასუხსა სთხოვს:

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ ვისთვის რას იტყვიო.

მრავალ დროების მოწამე ხარო, მაგრამ ხარ უტყვი და არას მეუბნებიო, და განაგრძობს:

არ ვიცი ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?

ფიქრმა ცხოვრების ამაოებისამ ადრე აიჩინა ბინა იმის გულში და გამოვედი თუ არა ყმაწვილობის ასაკიდამაო, მას აქედ რაღაც „იდუმალი ხმა“:

თან სდევს ყოველთა ჩემთა ზრახვათა და საწადელთაო.
ანგელოზი ხარ მფარველი ჩემი, თუ მაცდური ეშმაკიო,

შესძახის იმ „იდუმალს ხმას“.

ბოლოს, როცა ეს „ხმა იდუმალი“, პირველში სუსტი, თანდათან გაუძლიერდა და ყურთა სმენა მისი სრულად დაიმორჩილა, აკი გაიგო, რომ იგი ხმა მისი მფარველი ანგელოზი არ არის, არამედ „ბოროტი სულია“, რომელმანც აურია წრფელნი ზრახვანი და „მოუკლა ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“. ამისთანა „იდუმალი ხმა“ ხვედრია მარტო მისი, „ვისაც ცეცხლი სული აქვს და ზღვა გული“, როგორც თვით ნ. ბარათაშვილი ნაპოლეონზედ ამბობს.

მისი ფრთა-ასხმული ფიქრი შორსა ჰქრის და ჰცდილობს მაშინაც-კი, როცა მყუდროებაშია და დაწყნარებული, ცა განსჭვრიტოს გონების თვალითა და შეიტყოს,—რა არის იქ და ამბობს: „ჰე ცაო, ცაო...

აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ,
მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდე ვერ მოახწევენ
და ჰაერშივე განიბნევიან.

განა შეტყობა იმისი თუ,—რა არის ცაში, ან ცას იქით,—მუდამი წყურვით შესატყობარი არ არის ერთობ ადამიანისათვის? განა ამის ვერ მიხწევის უღონობა ზოგად - კაცობრიული ჩივილი არ არის უძლურებისა? განა ამაებში ტრიალი გონებისა არ არის ზოგად-კაცობრიობის გაუთავებელი ტრიალი იმ საიდუმლოების უძირო მორევში, რომელსაც არც თავი აქვს, არც ბოლო, არც ჰო და არც არა?

მისი მშვენიერი „სულო ბოროტო“ სხვა არა არის-რა, გარდა ყოველ იმ ადამიანის ჩივილისა, რომელსაც მოხვედრია „ხელი მსახვრალი“ ექვისა, რომელსაც ეჭვ ქვეშ „მოჰკლომია ყმაწვილის ბრმა-სარწმუნოება“, რომელსაც „ველარც ღელვანი ვნებათანი უკვლენ წყურვილსა“ და რომელსაც ბედი უქადდა თავისუფლებას ამ სოფლად და უმტყუნა და რომელიც დარჩენილა „უსაგნოდ მარტო, ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი“.

სწორედ ამისთანა ყოფას მოსდევს ის საშინელი კვილი გულისა, ის საშინელი სულის კვეთება, ის თავ-

ჰკიდა ხელი, მაგრამ გარემოებამ ვერ შეუწყო ხელი. ამას შემდეგ ცეცხლი მოუბრუნდა დუქნებს, უნდოდა ისინიც ფერფლად ექცია და კიდეც მოახერხა. წარსულს მარტში, ღამის 12 საათზედ, უცბად მოედო ცეცხლი დუქნებს. საწყალს ვაჭრებს, თუ რამ ებადათ, სულ ყოვლისფერი ცეცხლმა იმსხვერპლა. დაიწვა თხუთმეტ დუქნამდის. შიგ რაც საქონელი იყო, ვერაფრის გამოტანა ვერ მოასწრეს. ვაჭრებს უფრო ის აწუხებთ, რომ სააღდგომოდ ახალ-ახალი საქონელი გვქონდა ჩამოტანილი და ფულად-კი კაპეიკიც არ დაგვრჩენიაო. ზარალი იქნება სამი ათას მანათამდე. როგორც დარწმუნებით ამბობენ, ცეცხლს თურმე ბოროტნი კაცნი აჩენენ ძალათი. ძლიერ კარგს იზამს პოლიცია, მიაქცევდეს ამ საქმეს ჯეროვანს ყურადღებას. ერთად-ერთი საშუალება, რომლის შემწეობითაც შეგვიძლიან ავცდეთ ამ უბედურებას, ღამის დარაჯთა რიცხვის მომატებაა. დეე იხადონ მედუქნეებმა მეტი გარდასახადი, მხოლოდ ცეცხლისაგან გადაწვას-კი ასცდნენ.

*** იქიდამვე: როგორც ნამდვილად შევიტყეთ, სამრევლო-სამოსწავლო საბჭოს ტფილისის სასულიერო სემინარიისას დაუდგენია ყოველ წლივ ეძლიოს მარტვილის ორ-კლასიანს სამაგალითო სამრევლო სკოლას ხაზინიდგან 900 მანეთიო. ასე რომ ჩვენს სკოლას შემოსავალი ექნება ახლა, სულ ერთად რომ ვიანგარიშოთ, ათას ორასი მანეთი წელიწადში. მასწავლებლად ორნი არიან, სემინარიაში კურს-დამთავრებულები. რადგან ჯამაგირის მხრით მასწავლებელნი საკმაოდ უზრუნველნი არიან, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ სასწავლებელში საქმე კარგად წავა.

*** გორი: როგორც შევიტყეთ, პატარა ლიახვზედ ხიდის გაკეთების თავდარიგს უკვე შესდგომიან. ხიდი უნდა გააკეთონ სოფ. ტირძნისის ზემოდგან, ს. დიცის პირდაპირ, იქ, სადაც უფრო ვიწროდ მიდის წყალი და აქეთ-იქით სანაპიროებზედ კლდეებიც უძევს. ცხინვალის ხიდიდგან გადარჩენილი მასალა უკვე ჩამოუზიდნიათ პატარა ლიახვზედ. ამ დიდად სასიხარულო საქმისათვის გორის მაზრის თავად-აზნაურობის მარშალს ი. დ. სულხანიშვილს შეუწევია კირი და აგური.

*** ქართლი: 12 აპრილს ზემო ქართლში თოვლი მოვიდა. ამ ბოლოს დროს მაინც დიდი სიცივეები და უამინდობა იყო: ქარი ჰქროდა და თოვლ-ჭყაპი მოდიოდა.

*** გაზეთ „Т. Л.“-ში სწერია: ტფილისის მეხუთე საპოლიციოში, სუფრ-ნიშანის ქუჩაზედ, ოჰანეზოვის სახლში სცხოვრობს ერთი საცოდავი სულით ავადმყოფი. ამ კაცს არავითარი ცხოვრების სახსარი არა აქვს, საბრალოს ცოლი ჰყავს და ორი შვილი. საცოდავს დედაკაცს თავისი და შვილების რჩენაც-კი უჭირდება და ავადმყოფს ქმარს-კი დიდი მოვლა უნდა. ამის გამო მთელი ოჯახი საშინელს გაჭირვებაშიაო.

საჭიროა, რომ ყურადღება მიაქციონ ამ ავადმყოფს და სამკურნალოში გაჰგზავნონ.

*** სიღნაღი. გაზეთს „Т. Л.“-ს სწერენ სიღნაღიდგან, რომ მარტის დამლევს პრაპორშჩიკმა ავალიანმა სიღნაღის ციხიდგან გამოქცეული ავაზაკი ნახყიდა ცანკაშვილი ერთს დუქანში შეიპყრო. ცანკაშვილმა დაინახა თუ არა ავალიანი, უნდოდა თოფი ესროლა, მაგრამ ავალიანმა დაასწრო, თოფის ლულა მარჯვენა ყბაში დაჰკრა ცანკაშვილს და ხელიდგან თოფი გააგდებინა. ცანკაშვილი მაინც არ დანებდა და ხანჯალი იძრო. ავალიანმა კიდევ დაასწრო და თოფი ესროლა. დაჭრილი ცანკაშვილი დანებდა.

*** იქიდამვე სწერენ იმავე გაზეთს, რომ 29 მარტს ღამე სოფ. ბობნისხევში მოსე დუგაშვილს უცაბედად თოფი გაუვარდა და ტყვია დუგაშვილის მამას მოხვდაო. უბედური მამის მკვლელი შეიპყრეს და სასამართლოს ჰადასცეს.

*** რიგას პოლიტეხნიკურს სასწავლებელში მიღების წესი შეცვლილი იქმნა. ამ სასწავლებელში შესვლის მსურველთ გიმნაზიასა ან რეალურს სასწავლებელში უნდა ჰქონდეთ სწავლა დამთავრებული, ან არა და, ამავე სასწავლებლიდგან მოწმობა უნდა ჰქონდეთ მიღებული. რიგას პოლიტეხნიკურს სკოლაში მიიღებენ აგრეთვე იმ ყმაწვილ-კაცთ, ვისაც რეალურ სასწავლებლის 6 კლასი აქვთ დამთავრებული. სასწავლებლის საბჭოს უფლება აქვს მინიჭებული, ხელ-მეორედ გამოსცადოს ამ სკოლაში შესვლის მსურველნი („Пет. Вѣд.“-ი).

---

## მთავრობის განკარგულებანი

5 აპრილს უმაღლესის ბრძანებით კნიაჟნა მარიამ მელიქიშვილი დაინიშნა ხელმწიფე იმპერატორიცას სეფე-ქალად.

ქუთაისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველის თანაშემწეს ხოჯაევს უმაღლესად ებოძა წმ. ანნას ორდენი, მეორე ხარისხისა. ახალქალაქის სამაზრო ხაზინადარს, ნადვორნი სოვეტნიკს ვასილ ლომინაძეს და ტფილისის სახელმწიფო პალატის განსაკუთრებულ საქმეთა მოხელეს, კოლეჟსკი სეკრეტარს სოლომონ ტერ-ღუკასოვს უმაღლესად ებოძათ წმ. სტანისლავის ორდენი, მესამე ხარისხისა.

გორის სათადარიგო პოლკის კაპიტანი თავადი ალექსანდრე ლეონიძე ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის საგანგებო საქმეთა მოხელედ დაინიშნა.

პოდპორუჩიკს ახვლედიანს პორუჩიკობა ებოძა.

შუბანის ოლქის მკურნალს ტიტულიარნი სოვეტნიკს მანსვეტოვს კოლეჟსკი ასესორობა ებოძა. გორის დედათა პროგიმნაზიის ზედამხედველი-ქალი ალექსანდრა ტურიაშვილი თავისს თანამდებობაში იქმნა დამტკიცებული.

---

## ბ-ნი გამყრელიძე სვიმონ ლეონიძის როლში.

ვისაც ჰსურვებია ოდესმე ნახვა ნამდვილ დარბაისელ ძველ ქართველის კაცისა, რომელსაც გულში გამონასკული აქვს დარბაისულადვე დიდი სურვილი და დიდი გრძნობა, უნდა დასწრებიყო წარსულს კვირა დღეს, 12 აპრილს, „სამშობლოს“ წარმოდგენას ჩვენს თეატრში. ჩვენ არას ვიტყვით, სხვა მოთამაშეებზე, რომელნიც უკვე ცნობილ არიან, ხოლო არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ის ფრიად ჰკვიანური, გრძნობიერი, უმეტ-ნაკლებო აღსრულება როლისა, რომლის ცხადი მაგალითი თვალ-წინ გაგვიტარა ბ-ნმა გამყრელიძემ, სვიმონ ლეონიძის წარმომდგენელმა.

ჯერ ერთი ისა, რომ ისე შესაფერად მორთული იყო, რომ პირველს დანახვაზედვე ჰგრძნობდით, რომ ამ რიგად უბრალოდ, სადად, მაგრამ ფაქიზად ტან-ჩაცმული კაცი უსათუოდ შინაგანის ღირსებით უნდა იყოს მდიდარიო. ასეთიც არის სწორედ სიმონ ლეონიძე „სამშობლოში“. მერე ყოველივე მიხრა-მოხრა ბ-ნ გამყრელიძესი, ყოველივე მოძრაობა, ხელის თუ სახის ასე თუ ისე ხმარება ისე ეშესაბამებოდა ძველს, დარბაისელს ქართველს და ამასთან დიდ-სულოვანს და დიდ-გულოვანს კაცს, როგორც სვიმონ ლეონიძეა, რომ სწორედ აკვირვებდა მაყურებელს. არც ჰქმევა, რომ აცა დიდ-სულოვანის კაცის როლსა ვთამაშობ და გავიბღინძოო, არც გრეხა და პრანჭვა, არც გაჭაჭვა, რომ აცა გმირად გამოვჩნდეო, არც ერთი ამისთანა უმგზავსობა არ მოსვლია ბ-ნ გამყრელიძეს სცენაზედ და იმდენად იხელოვნა, რომ ყოველ ამ უგემურ უფერ-უმარილოდ დაგვანახვა ნამდვილი გმირი კაცი. არც ბუკი დაუკრავს ამისათვის, არც ნაღარა და ჭეშმარიტი დიდ-სულოვანი ძველი ქართველი დაწყნარებით, დიდის ხელოვნურ თავ-დაჭერით, გადუმეტებლივ დაგვიხატა გაოცებულ თვალწინ. მისი თამაშობა ამ შემთხვევაში თვით ბუნება იყო, არაფერი მეტი, არაფერი ნაკლები. თავიდამ ბოლომდე ერთ ნაირად, თანასწორად, ფრთხილად და ცოდნით, ნამდვილ გმირის ბუნების შეუბღალავად გაატარა თავისი როლი.

სიტყვა - პასუხის კილო მშვენიერი გამოიჩინა. მის ლაპარაკში თითქმის ყოველი სიტყვა თავის ადგილას ისეთის შესაფერის კილოთი იყო თქმული, როგორც ეკუთვნოდა. აუჩქარებლივ, დინჯად, მშვიდობიანად მოლაპარაკემ ისეთი სიმხურვალე და მნიშვნელობა აძლია სიტყვას, რომ არა ერთს და ორს მოჰგვარა ცრემლი და აუდუღა გული დიდის გრძნობის ცეცხლით. უკანასკნელს სცენაში, როცა ლევან ხიმშიაშვილს ეთხოვება და სასიკვდილოდ მიდის, აქ ასეთი ბუნებით სავსე კილო იხმარა ბ-ნმა გამყრელიძემ, რომ პირველ ხარისხოვან არტისტსაც ხშირად გაუძნელდება. სვიმონ ლეონიძის დიდ-ბუნებოვანობის ზარი მთელის თავის ძალ-მომრეობით იგრძნო მთელმა კრებამ მაყურებლებისამ და იმოდენად გაინაბა ყველამ სული, რომ ბ-ნ გამყრელიძესაგან თქმული: „ლევან, აღთქმა, აღთქმა, არ დაივიწყო აღთქმაო“ გასავალ კარებში ხმადაბლად, თითქმის ჩურჩულით თქმული, მოეფინა მთელს დარბაზს თეატრისას თავიდამ ბოლომდე.

არც მაყურებელნი დარჩნენ უმისოდ, რომ თავისის მხრით პატივი არ ეცათ და თავისი აღტაცება არ გამოეთქვათ არტისტისათვის. გარდა იმისა, რომ ბევრჯელ გამოიწვიეს ტაშის კვრითა თამაშობის დროს, მერეც, როცა დასრულდა „სამშო-

---

განწირული გიჟური ლტოლვა და სრბოლა უგზო-უკვლოდ კლდეებსა და ღრეებზედ, რომელიც მან თავის „მერანში“ გამოსთქვა. განა არა, მინამ „მერანს“ იტყოდა, მისი ჭკუა-გონება თავის მყუდროების სადგურიდამ უკვე დაძრული იყო და სავსენს ბინას ვეღარ ჰპოულობდა დედამიწაზედ და ცას ეუბნება:

გულის თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურსაო, რადგანაც ქვეყანაზედ ბინა აღარსად ეგულებოდა, რომ ჭკუა-გონებისათვის ეთქვა: აჰა, დადეგ და შეისვენეო. ერთს დროს ეგონა, რომ იქნება სიყვარულმა, ტრფიალობამ მაინც შემიხიზნოს და დამიწყნაროს დუღილი სულისაო, და ამბობს:

„ვპოვე ტაძარი, შესაფარი, უდაბნოდ მდგარი, და მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით, მუნ ვეძიებდი განსვენებასაო. გულსა მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივითაო, მაგრამ განჰქრა ტაძარი და უდაბნო ჩემდა მდუმარებსო და სიყვარულის ნეტარების მაგიერ სევდამ და წყვდიადმა დაისადგურა ჩემს გულშიაო.

ვერღა ამიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
...და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი.

აქაც ვერ იპოვა საგანი თავის გულისა და გულის წყურვილისა. მერე მიჰმართა სარწმუნოებას, იქნება ამან მაინც შემიკედლოს და დამინთქას სალმობანი გულისა სენთაო, და ევედრება ღმერთს, დამიურვეო, შემიტკბე, როგორც მამამ შემცოდე შვილიო,

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამინთქე მათში სალმობანი გულისა სენთა!
არა დაჰქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!

მაგრამ ვერც აქ იპოვა იგი სადგური მყუდროებისა, რომელსაც ეძებდა, და იმედ-დაკარგულს მიესია „შავად მღელვარე ფიქრები“ სულისა და გულის უბინაობისა და არ იცის სად და როგორ მოიშოროს, სად და როგორ გაექცეს და ეხვეწება თავის „მერანს“, რომლის ჭენებას მართლა რომ ბუნებით საზღვარი არა აქვს, ვითარც ჭკუა-გონების ქროლას, გასწიო

. და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარიო.

ყველაფერი დამითმიაო: ჩემი მამული, სწორნი და მეგობარნი, მშობელნი, ტკბილად მოუბარი სატრფოც-კი, ერთის სიტყვით, ყოველი იგი, რაც შეადგენს ცალკე კაცის ცალკე საგანს გულის ტეხისას, ჭირისას და ლხინისას, ოღონდ

ვარსკვლავთა თანამავალთა
ვამცნო გულისა მე საიდუმლოო.

რაკი კაცს მამული ამოუღია გულიდამ, მშობლები დაუთმია, სწორნი და მეგობარნი, სატრფოც-კი გაუწირავს, განა-ღა საფიქრებელია, რომ მისი „შავად-მღელვარე ფიქრი“, მისი „საიდუმლო გულისა“ ზოგად-კაცობრიულს ვაებას არ მოასწავებდეს, „ჭკუით ურწმუნოებისა და გულით უნდოობისაგან“ წარმომავალს.

მართალია, ცას იქით ვერ იპოვა სადგური, რადგანაც ადამიანის უძლურ გონებისათვის მიუწვდენელიაო, მაგრამ მაინც თავის „მერანისა“ იმედი არ დაჰკარგვია და ეუბნება: თუ ცას იქით ბინას ვერ მივწვდი, შენ შენსას მაინც ნუ დაიშლიო:

გასწი, მერანო, გარდამატარე ბედის საზღვარი,
თუ აქამდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი.

აშკარაა, საზღვარ-დადებული სიგძე-სიგანე ადამიანის აზრიანობისა ჩვენის პოეტის „სულის კვეთებას“ ვერ იტევს. მას სწყურს ეს საზღვარი ბედისა გაარღვიოს და ნიავს მისცეს თავისი „შავად-მღელვარე ფიქრი“, რომ დაუსრულებელი სივრცე ცისა და ქვეყნისა მოიაროს. ბაირონის კაინმა ამისათვის ლუციფერი აიჩინა, გეტეს ფაუსტმა მეფისტოფელი და ჩვენმა პოეტმა თავისი „მერანი“, ესე იგი, თავისის სულის ქროლა.

ამ სახით იგი ჰთაკილობს დაემორჩილოს ბედს, რომელსაც ადამიანის გონებისათვის საზღვარი დაუდვია, და განაგრძობს:

დეე მოვკვდე მე უპატრონოდ, მისგან ოხერი,
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერიო.

და ჰნუგეშობს, რომ ეს გაძალიანება, ეს თავ-განწირულება, ეს „სულის კვეთება“, ეს პირდაპირი ომი ბედთან ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლისო,

და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო.

რას გაურბოდა? საით მიიზიდებოდა? სად ემუდარებოდა თავის მერანს მიმიყვანეო, როცა ეუბნება:

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი,
გარდაიარე კლდენი და ღრენიო.

ამის პასუხს ვერ ვიპოვით „მერანში“, ხოლო თუ სახეში მივიღებთ სხვა-და-სხვა დროს თქმულს მისს მიერ ლექსებს, ცხადად დავინახავთ, რომ იგი მიურბის იმ „ჭკუით ურწმუნოებას“, იმ „გულით უნდოობას“, იმ „გონებით და ცხოვრებით“ აღშფოთებას და გაფეთებას, რომელიც შუბის წვერისავით გულს დაესობა ხოლმე აზრ-გაღვიძებულს ადამიანს, ექვით გულ-ღვიძლამდე გაბნეულ, მოუსვენარ და ჭეშმარიტების მუდამ მძებნელ მწყურვალ გონებისაგან. თვითც არ იცის პოეტმა საით მიიზიდება, სად იპოვის შესასვენებელს სადგურს, ნავთ-სადგურს, რომ იქ შესასვენოს „ვნებათა ღელვანი“. იგი მარტო ამას გვიქადაგებს, რომ ძებნა უნდა ამასაო თავ-განწირულად და უშიშარად. ჩვენ ხომ ვნახეთ, რომ იგი ჰლამოდა ცას იქით მიეწვდინა თვალი ამ სადგურის დასანახავად, მაგრამ უქმად ჩაუარა ცდამ. ერთის ბრძენისა არ იყოს, ქვეყანაზედ ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ, და ზოგიც იმისთანაა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცასა თუ ცას იქით სწორედ იმისთანა ადგილებია მაძებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავ. ჩვენს პოეტს ეს რწმენა დაკარგული ჰქონდა, როგორც მისი „სულო ბოროტო“ გვიმტკიცებს, და რაღა საკვირველია, რომ რასაც იქ ეძებდა, ვერ იპოვა.

ისიცა ვნახეთ, რომ ამავ მის მიერ სანატრელს სადგურს იგი ეძიებდა სიყვარულში, მაგრამ დაექცა ეს ტაძარი და ისევ შეუსაფარი დარჩა. მერე მასვე ეძიებდა სარწმუნოებაში, ჯერ მინამ სასოება გულს შერჩენილი ჰქონდა და არ მოეკლა ეჭვსა, მაგრამ ვერც აქ განისვენა, ვერც აქ იპოვა იგი ნუგეში, რომელსაც ასეთის „სულის კვეთებით“ ეძიებდა. ბოლოს მთლად მიენდო თავის „მერანს“, რადგანაც მის ჭენებას საზღვარი არა აქვს: შენ გასწიე, ნურას მოერიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლოს“ წარმოდგენა და ბ-ნი გამყრელიძე, დიდი ხანი თავის როლს მორჩომილი, იჯდა ლოჟაში, დიდის ძახილით ხელ-ახლავ გამოიწვიეს და ერთიანის ტაშის გრიალმა აჩვენა არტისტს, რომ ნიჭის დაფასება ჩვენცა გვცოდნია. ბევრს არტისტს არ უმოქმედნია ასე ძლიერ და ხანგრძლივ მაყურებლებზედ, რომ ორ-სამ მოქმედების შემდეგ, საცა მას აღარ უთამაშნია, მაყურებელი იძულებულ იქმნას წარსულის აღტაცებისაგან ხელახლად გამოიწვიოს პატივსიცემად აღტაცების მიზეზი. ბ-ნი გამყრელიძე კვირასა, 12 აპრილს, სწორედ ღირსი იყო ამ სასახელო პატივისცემისა.

## ქალაქის საბჭო

13 აპრილი

კრებას განსახილველი ჰქონდა ოც-და-ცხრა საქმე, მაგრამ მთელი საღამო მოუნდა განხილვას გამგეობის მოხსენებისას იმის შესახებ, თუ რა ხარჯი უნდა იქმნეს გაღებული, რომ ხუნაგისა და სხვა გადამდებ სენის ბრძოლაში სათანადოდ მიეშველოს ქალაქი ხალხს. გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვით, ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად საჭიროა ერთბაშად დაიხარჯოს ათას ექვსას თუმნამდე, ხოლო ყოველ-წლიური ხარჯი უნდა იყოს არა ნაკლებ ათას ორმოც-და-ათის თუმნისა. ამისდა თანახმად, გამგეობა სთხოვდა საბჭოს წრევანდელის ხარჯიდგან ორი ათას ექვსას ორმოც-და-თხუთმეტ თუმანს. ეს ხარჯთ-აღრიცხვა წინადვე გარდასცა გამგეობამ საფინანსო კომისიას, რომელმაც ამის შესახებ წარუდგინა საბჭოს თავისი მოსაზრება. საფინანსო კომისიის აზრით, საჭიროა გასწიოს ქალაქმა ხარჯი ერთბაშად 5,750 მანეთი, რომ ამ ფულით მოეწყოს სადეზინფექციო სადგური, სადაც გასუფთავებულ უნდა იქმნას ყოველი ავეჯი, რომელიც-კი გადამდებ სენით ავადმყოფის ნაწოლ ოთახში იყო და რომელშიაც ჰბუდობს ბაქტერიები, რომ ამ სახით ეს საშინელი ბაქტერიები სხვ ადამიანზედ ვეღარ გადავიდეს და სენი ვეღარ გავრცელდეს ხალხში. ხოლო ყოველ-წლიურ ხარჯად, კომისიის აზრით, საკმარისია 5,300 მანეთი.

ხმ. ჩოლაყაშვილი. აშკარაა, რომ ჩვენის ქალაქის გაჭირვებულ მდგომარეობაში საბჭო უარ ჰყოფს გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვას და მიიღებს საფინანსო კომისიის მოსაზრებას. ხოლო ჩემის აზრით, ურიგოს არ ვიზამდით, რომ მოვიწვიოთ ორი ექიმი და თითოს დავუნიშნოთ ჯამაგირად ოთხმოც-და-ათ-ათი თუმანი, ნაცვლად ერთის ას ოთხმოცის თუმნიან ექიმისა, როგორც გვირჩევს საფინანსო კომისია. ერთის ექიმის დანიშნულება ის იქნება, რომ დეზინფექცია გაუკეთოს ნივთებს და იმ ოთახებს, სადაც ავადმყოფები იწვნენ; ხოლო მეორე ექიმის დანიშნულება ის იყოს, რომ უსასყიდლოდ შემწეობა აღმოუჩინოს ღარიბს ავადმყოფებს და იაროს იმათ სახლებში უფასოდ. ამოდენა ქალაქისათვის ერთი ექიმი მაინც უნდა ჰყავდეს საბჭოს, რომ უფასოდ დაეხმაროს ქალაქის ღარიბ მცხოვრებთ, რომელთაც გაჭირვება ბევრჯელ აქვთ და შეუძლებლობის გამო ვერ მოუწვევიათ ექიმი.

ხმ. ი. ს. ყორღანოვი. იქნება ვინმემ სთქვას, რომ ხარჯი, რომელსაც გვირჩევს საფინანსო კომისია, ცოტა იყოს ქალაქის ავადმყოფთა დასახმარებლადაო. ჩემის ფიქრით, ეგ შეცდარი აზრია. ჯერ მთავრობა მარტო მიხეილის საავადმყოფოზედ ჰხარჯავს წელიწადში 200.000 მანათს, ახლა ქალაქი ეწევა ხარჯს თავისს სამკურნალოებზედ, ასე რომ წელიწადში თითქმის 300.000 მანეთი მიდის ავადმყოფთა დახმარებაზედ. მგონია, ეს ამოდენა ფული რომ სათანადოდ იხარჯებოდეს, ამით ისე მოვაწყობდით ავადმყოფთა საქმეს, რომ ვისაც-კი ქალაქში თითი წამოსტკივდებოდა, ყველასათვის სამკურნალო დახმარების აღმოჩენა ადვილად შესაძლებელი საქმე ყოფილიყო. ამიტომ ძლიერ კარგს იზამდა საბჭო, რომ ეთხოვნა მთავრობისათვის და ქალაქთან ერთად მოეწყობინა სამკურნალოების მართვა-გამგეობა. დღეს-კი ისეა საქმე დაყენებული, რომ მაგოდენა ფული ცალკ-ცალკე იხარჯება და იმის ნაოთხედი შემწეობაც ვერ ეძლევა ქალაქის ღარიბს ხალხს, რომელიც შესაძლებელი იქნებოდა, თუ კი ერთად გავწევდით მაგ ფულს, და თუ მთავრობა და საბჭო შეერთდებოდნენ.

ხმ. ანანოვი. თ. ჩოლაყაშვილის წინადადების შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ მაგ ცოტა ფულით შეუძლებელია ორის ექიმის მოწვევა. 900 მანეთად რიგიანს ექიმს ვერ ვიშოვნით, რადგან სულ გადამდებ სენთან ექნება საქმე და კერძო პრაქტიკას ვეღარ იშოვნის. ას ოთხმოცი თუმანი შუაზედ გავყოთო, რომ ერთის მაგიერად ორი ექიმი ვიყოლიოთო. მაგ ანგარიშით თუ წავედით, მაშ ოთხადა და ათად რომ გავყოთ ეგ მცირეოდენი ჯამაგირი, უფრო მომეტებული ექიმი გვეყოლება. მაგრამ საქმეს ეშველება რამ თუ არა, აი, ეს არის საკითხი.

ხმ. ჩოლაყაშვილი. როდესაც სასანიტარო ექიმზედა გვქონდა ბაასი, მაშინაც ასე გვარწმუნებდნენ, შეუძლებელია, რომ ოთხმოც-და-ათ თუმნად რიგიანი სანიტარი ვიშოვნოთო. მაგრამ ჩვენა ვხედავთ, რომ იგივ ექიმი ვართანოვი, რომელიც წინად ას ოთხმოც თუმანს იღებდა, დღეს ოთხმოც-და-ათ თუმნადა მსახურობს იმავ ადგილზედ, ხოლო დანარჩენ ოთხმოც-და-ათის თუმნით მოვიწვიეთ მეორე სანიტარი და, ამ სახით, ერთის მაგიერ იმავ ფულით ჩვენა გვყავს ორი სანიტარი. ახალგაზდა ექიმისათვის, რომელიც სრულებით უსაქმოა და რომლისთანანიც დღეს ასე მრავალნი არიან, ოთხმოც-და-ათ თუმნად დიდის სიამოვნებით წამოვა ხსენებულს ადგილზედ. ხმოსანი ანანოვი-კი, რომელსაც კარგი შეძლება აქვს, არც ათასს თუმანს დაგვყაბულდება.

შემდეგ ხანგრძლივის ბაასისა, საბჭომ კენჭის ყრით მიიღო წინადადება ხმ. ჩოლაყაშვილისა იმის შესახებ, რომ ქალაქმა მოიწვიოს ორი ექიმი, ამათში ერთს დაავალოს დეზინფექცია სახლებისა და ავეჯისა, ხოლო მეორეს—უფასოდ სიარული ღარიბ მოქალაქეებთან, რომ დახმარება აღმოუჩინოს შეუძლებელს ავადმყოფებსაო. დეზინფექტორ ექიმს დაუნიშნა წელიწადში ჯამაგირად ას ოცი თუმანი. რაც შეეხება მეორე ექიმს, იმის ჯამაგირის შესახებ სჯა გადადებულ იქმნა, ვიდრე სასანიტარო კომისია არ წარმოადგენს თავისს მსჯელობას ამ საგნის გამო.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ქვემო პალატის კრება 27 მარტს მთელს დღეს მოუნდა იმ საქმის განხილვას, რომ დაკანონებული იქმნას თუ არა ადგილების ძალით შესყიდვა იმ მემამულეთაგან, რომელნიც ნებით არ მოისურვებენ თავისი მიწა გლეხებს მიჰყიდონ. მთელი კრების ყურადღება ამ დღეს გლადსტონის სიტყვაზედ იყო მიქცეული. ბორინგამის დეპუტატმა ჩემბერლენმა სთქვა, რომ თუმცა მე ჩემის მხრივ მსურს, რომ დაკანონებული იყოს წვრილ მემამულეთა ადგილების ძალით შეძენა, მაგრამ მაინც წინააღმდეგი ვარ, რომ ეგ ძალით შეძენა ადგილებისა ახალს კანონ-პროექტში იყოს მოთავსებული, რადგანაც ვშიშობ, რომ მაშინ მთავრობა ჩვენს კანონ-პროექტს არ დაამტკიცებსო. გლადსტონმა უპასუხა კრებას: „სწორედ მოგახსენოთ, ბატონებო, მე ძლიერ მიკვირს იმის გაგება, თუ რა აზრისაა ამ საქმის შესახებ ბ-ნი ჩემბერლენი. ეხლა თითონვე აღიარა, რომ წვრილ მემამულეთა ადგილების ძალით შეძენის დაკანონება სასარგებლოდ მიმაჩნიაო. მიგრამ მაინც არა მსურს, რომ ეგ სურვილი კანონ-პროექტში მოვაქციოთ, რადგანაც ვშიშობთ, რომ მაშინ მთავრობა ჩვენს კანონ-პროექტს არ დაამტკიცებსო. ყველანი რომ ასეთის აზრისანი ვიყოთ, მაშინ, დარწმუნებული ვარ, ვერც ერთს რეფორმას ვერ განვახორციელებთ. მთავრობა მუდამ წინააღმდეგია ჩვენის რეფორმებისა და მუდამ ვებრძვით ხოლმე ჩვენის აზრისა და პროექტების მიღებისათვის. წინააღმდეგობისა რომ გვეშინოდეს, მაშინ, გარწმუნებთ, იმ რეფორმებსაც ვერ შემოვიღებდით, რომლის განხორციელებაშიაც ოდესმე გვშველოდა ჩვენი პატივცემული მეგობარი ჩემბერლენი“.

შემდეგ გლადსტონმა მამულების ძალით შეძენის სარგებლობა შემდეგის მაგალითით დაამტკიცა. წარმოიდგინეთო, სთქვა გლადსტონმა, რომ ერთსა და იმავე საგრაფოში სამი საზოგადოებაა. ორმა საზოგადოებამ მემამულეთა თანხმობით ადგილები შეისყიდა, მესამე საზოგადოების მემამულე-კი ნებით არა ჰყიდის თავისს ადგილს. ამ საზოგადოების მცხოვრებნი უადგილოდ დარჩნენ, მაგრამ ხარჯი-კი მაინც უნდა გადიხადონ, რადგანაც მთავრობა მთელს საგრაფოს ადებს ხარჯსა, მიუხედავად იმისა, რომ ორმა საზოგადოებამ ადგილები შეიძინა და მესამემ-კი ვერა. ამ უწესოების ასაცდენადაო, დაასრულა გლადსტონმა თავისი სიტყვა: საგრაფოს საბჭოს უეჭველად უფლება უნდა ჰქონდეს მინიჭებული, რომ ძალით შეისყიდოს ადგილები იმ მემამულეთაგან, რომლებიც ნება-ყოფლობით არ გაჰყიდიან. კრებამ 226 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 184-სა მაინც უარ-ჰყო ის წინადადება, რომ ადგილების ძალით შეძენა დაკანონებულ იქმნას.

## წვრილი ამბავი

საფრანგეთის, სენტ-ნაზარეში, 21 მარტს დასაჯეს დამნაშავე დავითი, რომელსაც ქვემო ლუარის დეპარტამენტის სასამართლომ სიკვდილი გადაუწყვიტა

---

ბი, ნურც მე შემიბრალებ დაქანცულობითა, და თუ ვიპოვეთ, რასაც ვეძებთ, ხომ რა კარგი, თუ-არა-და, ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სული კვეთება და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩებაო.

> და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა
> სიძნელე გზისა გაუადვილდეს
> და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი
> შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

ეს მსუსხავი და მწვავი ქროლა გონებისა, ადამიანის ამღვრეულ გულის ქარტეხილისაგან მოვლენილი, განა საკმაო მიზეზი არ არის ასეთის თავგანწირულ სულის კვეთებისა და ეს სულის კვეთება განა ზოგად-კაცობრიული არ არის? მაშ მაშინ არც ბაირონის დიდებული და ზარიანი ჰექა-ქუხილი ყოფილა ზოგად-კაცობრიული? განა ერთობ მოუსვენარი ცხოვრება ადამიანისა, რომლის ეჭვით გალესილი ჭკუა დღე მუდამ ტაძარს აშენებს რწმენისას და ისევ თავის ხელითვე აქცევს, იმავ სადგურს მყუდროებისას არ ითხოვს, რასაც ჩვენი პოეტი? განა ამ ქცევა-შენებით დაღალული გული კაცობრიობისა, ქვეყნის დაწყებიდამ დღევანდლამდე, არ ეძებს მოსვენებისათვის სადგურს და მაგ სადგურის პოვნა განა საყოველთაო წყურვილი არ არის ზოგად-კაცობრიული? განა ვაება კაცობრიობისა ის არ არის, რომ მიზეზი აქვს ძებნისა, ეძებს და ვერ უპოვია? აი სად არის სათავე ადამიანის სასო-წარკვეთილებისა, თავგანწირულებისა, ჭკუა-გონების არევისა, ყოვლისფრის უარ-ყოფისა, რომელიც ზოგჯერ, ხანა და ხანა, ასე დაიპყრობს ხოლმე მთელს მოაზრე კაცობრიობასა და შავად მღელვარის ფიქრებით ავსებს ადამიანის ცხოვრებასა. ბაირონი და მთელი მის მიერ დაპყრობილი ხანა ევროპის სულიერ ცხოვრებისა განა ამისი მაგალითი არ არის? ჰამლეტის: ვიყო, თუ არ ვიყოო განა სულის უბინაობისაგან არ არის ამოკვნესილი?

შორს რად მივდივართ,—ეს დღევანდელი სპირიტობა, ბუდიზმობა, გრაფ ტოლსტოის „სულის კვეთება“, ის ამბავი, რომ ამერიკაში სადღაც ბავშვი დაბადებულა და დიდი და პატარა მირბის იმის თაყვანის საცემლად და ბევრი სხვა ამისთანა,—განა იმას არა ჰმოწმობს, რომ დღევანდლამდე ყოფილს ბინას ადამიანის მყუდროებისას ფუძე დაეძრა და თვით თალიც მთელის შენობისა გაირღვა და ჰლამის გადმოქცევას? განა ყოველივე ეს იმის მაგალითები არ არის, რომ დღესაც მოუსვენარი გონება ადამიანისა ხან რას ეჭიდება, ხან რას, რომ სადგური რამ მყუდროებისა სადმე და რაშიმე უპოვოს უბინაო სულსა, რომელიც დღეს ნაცარტუტასავით ჰდუღს?

აი სწორედ ამ თვალთ გადუწვდენელს სარბიელზედ მიუშვა სადავე ნ. ბარათაშვილმა თავის „მერანსა“.

ჩვენის ფიქრით, „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ არა მარტო იმითი, რომ წინ არის დაწერილი, არამედ შინაარსითა. „სულო ბოროტოში“ მხოლოდ მიზეზია ნაპოვნი იმ „გონების და სიცოცხლის ალშფოთებისა“, რომელიც შავად მღელვარე ფიქრად მიჰსევია ჩვენს პოეტსა „მერანში“ და ის მიზეზი იგი მსუსხავი და მწვავი ეჭვია, რომელმაც პოეტს მოუკლა „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება“, დაუკარგა „სულის მშვიდობა“, აღუთქვა და არ მისცა-კი „თავისუფლება ამ წუთი-სოფლად“.

ამ სახით, ნ. ბარათაშვილმა ჩვენს აზრს, ჩვენს გულთა-თქმას, ჩვენს ჭკუა-გონებას დიდი გაწი და სიღრმე მისცა, კაცობრიობის წყურვილს ქართველიც თანამოზიარედ გაუხადა და კაცობრიულ წყურვილის მოსაკლავ წყაროს ქართველიც დააწაფა. ამ მიმართულებას ჩვენის აზროვნობისას ნ. ბარათაშვილის შემდეგ არც ერთი მწერალი აღარა ჰყოლია ჩვენში და, სწორედაც რომ ვსთქვათ, ბაირონები, ლერმანტოვებიც მარტონი არიან და მემკვიდრეებს იშვიათად სტოვებენ, რადგანაც ტვირთი მათებრ კაცების მემკვიდრეობისა „არ არს სუბუქ“.

ეს ჩვენი აზრი ნ. ბარათაშვილის შესახებ იქნება მეტის-მეტი ეჩვენოს ვისმე, ხოლო ამაზედ-კი ყველა დაგვეთანხმება, რომ ეს, ჩვენდა საუბედუროდ, უდროოდ ჩვენთვის დაკარგული პოეტი ერთად-ერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალ-ნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად-კაცობრიობის დაუსრულებელი საჰირ-ბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა, მყოფობისა და არ-მყოფობისა, საცა ღალადებაა ყოველ გვარ სულის კვეთებისა და ვნებათა ღელვისა. თ. ნ. ბარათაშვილის დიდი მნიშვნელობა, ჩვენის ფიქრით, ამაშია; ამიტომაც მართალი სთქვა, რომ მის მიერ გავლილი გზა ჩვენში ჯერ უვალი იყო, მან თვისს მერანს გადაათელინა და ნავალიც დააჩნევინა, ვინ იცის, ვისთვის და საროდიოდ? ამის პასუხს ჩვენი აზრთა ზრდა შემდეგ როდისმე იტყვის.

არც ნ. ბარათაშვილი იყო უმისო, რომ გულში დარდად არა ჰქონოდა ბედი ქართლისა, ბედი მის მამულისა,

> სად სულსა სული თვისად მიაჩნის
> და გულსა გულის პასუხი ესმის.

ეს დიდებული სახე მეფე ერეკლესი და არა ნაკლებ დიდებული სურათი სოლომონ მსაჯულისა, გამოხატულები „ქართლის ბედში“ იმ განწირულების დროს, როცა საქართველოს ბედი სწყდება, ბევრს საგულისხმოს რასმე გვეუბნება და ქართვლის ამომშრალს გულში ბევრს ნამს ნატვრისას და ნახვისას აწვეთებს. იგიც შეჰნატრის წარსულს, თ. გრ. ორბელიანისავით, იგიც შეჰნატრის უწინდელებს, რომელთაც

> არად მიაჩნით უბედურება,
> თუ აქვთ ჰერთ ქვეშე თავისუფლება.

და სოლომონ მსაჯულის მეუღლისაგან აღტაცებული მაშინდელ ქართვლის ღირსეულ დედებს სახსოვარს უშენებს ამ სიტყვებით:

> ჰოი დედანო, მარად ნეტარნო,
> კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
> რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
> სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!

თუმცა ბოლოს, როცა თვისი მამული დამშვიდებული ჰნახა და მტერთაგან უშიშარი, შეიფერა მის მიერ ეგრედ წოდებული „ახალი ქართლი“ და მის ყოფა-ცხოვრებას თითქოს შეურიგდა, მაგრამ ესეც-კი მისი ნათქვამია:

> რა ხელ ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
> გალიაში დატყვევებული?

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორის მოხუცებულის დედაკაცის მოკვლისათვის.

87 დღის განმავლობაში დავითი პრეზიდენტის მიერ განაჩენის დამტკიცებას ელოდდა და ამ ხანში დიდად დამშვიდებული იყო.

დილის ორს საათზედ ნახევარ რაზმი ჯარი მივიდა მარსოს მოედანზედ, სადაც უნდა დაესაჯათ ბრალდებული. დილის სამს საათზედვე ჟანდარმებმა ალყა შემოარტყეს თავ-საკვეთელს, რომელსაც გარშემო დიდ-ძალი ხალხი ეხვია. ზოგიერთს ქალებს მოედანზედ სკამებიც-კი თან წამოეღოთ, რომ უფრო დადინჯებით და დაარხეინებით ვუყუროთო.

ოთხის ნახევარზედ ჯალათი დეიბლერი და მისი თანაშემწე თავ-საკვეთელის, გილიოტინის დადგმას შეუდგნენ. ამას რომ მორჩნენ, წავიდნენ საპატიმროში, სადაც უკვე მისულიყვნენ ბრალმდებელი და სხვა მოხელენი.

უფროსმა ზედამხედველმა საპატიმროსამ გამოაღვიძა დავითი და აუწყა, რომ მონანიების ჟამი მოახლოვდაო.

— ძალიან კარგი, სთქვა ბრალდებულმა: აგეთი ბედი სწორედ რომ დამსახურებული მაქვს.

ყავა დალია რომით და მღვდლის ლოცვა მოისმინა. კანცელარიაში, როცა ტანთ აცმევდნენ, დავითმა ნება-რთვა ითხოვა: რამდენიმე სიტყვა მინდა ხალხს ვუთხრაო. შემდეგ, ჯალათის თანაშემწისა და მღვდლის წინ-გაძღოლით, დავითი დასასჯელს ადგილს მიიყვანეს.

წინ და უკან ჟანდარმები მისდევდნენ ეტლს, რომელშიაც ბრალდებული იყო. ეტლი თავ-საკვეთელთან დილის ექვსს საათზედ მივიდა.

დავითი, ჩამოვიდა ეტლიდგან. ამ დროს ხალხმა ყლავი-ყლუპი შექმნა და ბევრნი სცდილობდნენ ბრალდებულთან ახლო მისულიყვნენ. მაგრამ რა-კი შეიტყეს, რომ დამნაშავეს რაღასიც თქმა უნდაო, სული გატრუნეს. ბრალდებულმა ხმა-მაღლა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები:

„ჩემთვისაც დადგა ჟამი მართლ-მსაჯულებისა. გწამდეთ, ჩემო მეგობრებო, რომ სწორედ დავიმსახურე ეს სასჯელი და ჩემ მიერ ჩადენილ ბოროტების სამართლიან მსჯავრადაც მიმაჩნია. მაშ ნება მომეცით სიკვდილის წინად გირჩიოთ თქვენ, რომელნიც ეხლა, ვინ იცის, იქნება გულში მწყევლით და შემაჩვენებთ კიდეც: ცუდს მეგობრებს უფრთხილდით. ამან დამღუპა და დამანელა. პატივისცემა გქონდეთ სარწმუნოების მიმართ, რადგან მხოლოდ იგი უნათებს ადამიანს გზას ჭეშმარიტებისას. უფალმა, რომელიც ისე მიყვარს და ასე გვიან გავიცან, მომიტევა და შემინდო. ნუგეშად ეს მაინცა მაქვს დარჩენილი, რომ ქრისტიანად ვკვდები. უსაზღვროდ მადლობასა ვწირავ ზეციერს: მან შეიწყნარა ქურდი და კაცის-მკვლელი და შეუნდო. თქვენც შემინდეთ და მომიტევეთ მისის სახელის გულისათვის. მადლობასა ვსწირავ სენ-ნაზარის საპატიმროს მღვდელს და აგრეთვე მღვდელსავე ნანტ ს საპატიმროსას. ამ ორმა პატივცემულმა მოძღვარმა დამაკალეს და მათ დამიხსნეს საუკუნო სატანჯველისაგან. ჩვენ იმ ქვეყნად შევხვდებით ერთმანეთს. ნახვამდის, მეგობრებო! ეხლა-კი გზას გავუდგეთ! გაუმარჯოს საფრანგეთს!“

მორჩა თუ არა ბრალდებულმა ეს საკვირველი და საოცარი სიტყვა, ჯალათის თანაშემწემ უთხრა, რომ წინ წადიო. დასასჯელი მტკიცე ნაბიჯით მივიდა გილიოტინასთან და დიდის ცნობის-მოყვარეობით დაუწყო სინჯვა და თვალიერება თავ-საკვეთელს. შემდეგ წინ მიდგა, სხვის დაუხმარებლად თავი დასდო მახვილს ქვეშ და თვალის ერთს დახამხამებაზედ თავი ტანს გააშორეს.

## დეპეშა

13 აპრილი

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ნავოსნობა დაიწყო; ხალხის მატარებელმა გემებმა დაიწყეს სიარული ზემოდ ოკის აყოლებად და ქვემოდ ვოლგის დაყოლებად.

**სოფია.** შეპყრობილ იქმნა თხუთმეტი კაცი რუშჩუკში ნაპოვნ ყუმბარების გამო. როგორც ხმა ისმის, ზოგი ამ ყუმბარათაგანი შემთქმელთ ხონთქრის საწინაალმდეგოდ სდომებიათ, ზოგი კიდევ პრინც კობურგელის მოსაკლავად.

14 აპრილი

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა, დიდი მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასული და დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე 13 აპრილს, დილის $7\frac{1}{2}$ საათზედ, კავკავიდგან მცხეთისკენ წაბრძანდნენ.

გამოცხადებულია, რომ სავსებით იქმნას შემოღებული სასამართლოს ცვლილება ორენბურგისა და უფას გუბერნიებშიო.

**პარიჟი.** ის სასტუმრო, რომელშიაც რავაშოლი დააპატიმრეს, ჰაერში აფეთქეს. აფეთქება იმის გამო მოხდა, რომ ყუმბარა სარდაფში ჩაეგდოთ. რამდენიმე კაცი დაჭრილია. ჯარი ნანგრევებს სწმენდავს და წესიერებას იცავს.

პეტერბურგის ბირჟა, 10 აპრილი.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,81 | 7,85 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 156 | $156\frac{3}{4}$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — ,, | — ,, | 1,12 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | $237\frac{1}{4}$ |
| —მეორისა | — ,, | — ,, | 219 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | 196 | $197\frac{1}{4}$ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

### გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე, მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით-საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

## განცხადებანი


ARGUS DE LA PRESSE
*FONDE EN 1879*

Pour être sûr de ne pas laisser échapper un journal qui l'aurait nommé, il était abonné à l'Argus de la Presse, qui „lit, découpe et traduit tous les journaux du monde, et en fournit les extraits sur n'importe quel sujet“.
Hector Malot (zyte, p. 70 et 323).

L'Argus de la Presse fournit aux artistes, littérateurs, savants, hommes politiques, tout ce que paraît sur leur compte dans les journaux et revues du monde entier.

L'Argus de la Presse est le collaborateur indiqué de tous ceux qui préparent un ouvrage, étudient une question, s'occupent de statistique, etc, etc.

S'adresser aux bureaux de l'Argus, 155, vue Montmartre, Paris—Téléphone.

L'Argus lit 5,000 journaux par jour.

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

(36—5)

უწმიდესის და უმართებელესის სინოდის ქართლ-კახეთ-იმერეთის კანტორის თანადასწრებით დანიშნულია 24 ამა აპრილს ვაჭრობა, ვაჭრობის განმეორებით 29 აპრილსვე, იჯარით გასაცემად იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოს ორის საძოვარის მინდვრისა. პირველის საზღვრებია აღმოსავლეთით— არხი, გუთნით გაყვანილი, დასავლეთითა და სამხრეთით—კვალი, ჩრდილოეთით—ქედი, რომელსაც ეწოდება ტფილისის ხევი; ხოლო მეორეს საზღვრებია: აღმოსავლეთით—ფშატიანი ხევი და ბილიკი, რომელიც მოდის საგარეჯოსაკენ მიჯნის სამნამდე, სამხრეთით—გზა, რომელიც მიდის იოანე ნათლის-მცემლის უდაბნოდამ სოფელ ხაშმისაკენ, დასავლეთით—კვალი, რომელიც მიჯნის სამნის მაგიერობასა სწევს, და ჩრდილოეთით—სერი სახელწოდებით თეთრი უდაბნოს სერი, ან ორივე მინდორი, ან ცალ-ცალკე, როგორც მოვაჭრე ისურვებს. ვისაცა ჰსურს იჯარით აიღოს ხსენებული საბალახე ადგილები, შეუძლიან გამოცხადდეს სინოდის კანტორაში, ან გამოგზავნოს დაბეჭდილი განცხადება აღნიშნულ ვადის დილის ათ საათამდე და ბე წარმოადგინოს ფულით, ან საბანკო დაწესებულებათა ფურცლებით, და აგრეთვე ქაღალდი თავის წოდებისა. ის პირობები, რომლითაც იჯარით გაიცემა საძოვარი ადგილები, მსურველთ შეუძლიანთ წაიკითხონ სინოდის კანტორის კანცელარიაში, ყოველ დღე, დილის ცხრა საათიდგან ორ საათამდე, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. (1—1)

ქ. ოზურგეთში

10 მარტიდგან ამა მიმდინარე წლისა მე-81, 82, 83 და 85 მუხლის თანახმად სავაჭრო წესდებისა დაარსებულია ურთიერთს ნდობაზედ (на Вѣрѣ) ამხანაგობა შემდეგის ფირმით: **ოზურგეთის თავისუფალ ეტლთა წარმოება მ. ო. ურუშაძისა და ამხ.**, რომლის უმთავრესი აზრი ის არის, რომ, რამდენადაც შესაძლებელია, გაადვილოს და გააიაფოს ეტლით მოგზაურობა გურიაში და, თუ საჭირო იქნება, ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებშიაც. ამ ჟამად ეტლები ამა ამხანაგობისა განსაკუთრებით ოზურგეთსა და რკინის გზის სადგურს ნატანებს შუა დადის საფოსტო და სახალხო მატარებლის დროს. ამხანაგობას ეხლავე **192 წევრი** ჰყავს. თითოეული წევრი ერთ-დროებითად იხდის **ოც-და-ათ მანეთს** და ამ ნაირად ძირეული თანხა ამხანაგობისა **5760 მანეთია.**

საწევრო ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც: პირველად **ათი** მანეთი და დანარჩენი **ოცის** ექვსის თთვის განმავლობაში. ვისაც სურს ამხანაგობის წევრად ჩაწერა, მიჰმართოს ამ ადრესით: „Въ Озургетское товарищество вольныхъ экипажей М. О. Урушадзе и Кº“. (6—6)




(12—5)

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“ და „წიგნების გამომცემელ ამხანაგობის“ მაღაზიაში ახალი წიგნი

ზადიგი

მოთხრობა ვოლტერისა

გადმოთარგმნილი ა. ახნაზაროვის მიერ

ფასი 20 კაპ.

იქავე ისყიდება ა. ახნაზაროვის მიერვე გადმოთარგმნილი ოთხ-მოქმედებიანი დრამა თ. ა. სუმბათაშვილისა „ბორკილი“ და ჰღირს 40 კაპ.


Дозв. ценз. Тифлисъ, 14-го Апрѣля 1892 г.

სტამბა მ. შარაძისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.